პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# გამარჯვება

საქ. კპ ახმეტის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო

гамарджвеба — орган Ахметского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся

ოთხშაბათი 28 მარტი 1956 წ.

№ 38 (694) ფასი 15 კაპ. გამოდის მე-10 წ.

**კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემა კოლმეურნეობებში შრომისნაყოფიერების გადიდების დიდმნიშვნელოვანი სტიმულია, იგი ამაღლებს შრომადღის როლს და ზრდის კოლმეურნეთა დაინტერესებას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან.

## ავამაღლოთ სასკოლო პარტიული ორგანიზაციების როლი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდესად ხაზავს და პასუხისმგებლო ამოცანებს სახავენ საშუალო საგანმანათლებლო სკოლების წინაშე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მოწოდებულია მისცეს მოსწავლეებს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნა, გააცნოს მათ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი საფუძვლები, უზრუნველყოს ახალგაზრდობის მომზადება არა მარტო უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად, არამედ აქტიური შრომაში ჩასაბმელად მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე, მათ საბრძოლისუნარიანობაზე. სკოლაში, სადაც პარტიული ორგანიზაცია აქტიურ დახმარებას უწევს დირექციას სკოლის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, იქ მოსალოდნელია სასურველი მდგომარეობა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში. ამის მაგალითად ჩვენი რაიონიდან შეიძლება დავასახელოთ ქვემო ალვანის, ახმეტის, ქისტაურის საშუალო, ახმეტის რვაწლიანი სკოლების პარტიული ორგანიზაციების მუშაობა. პარტიული ორგანიზაციების აქტიური დახმარებით ამ სკოლებმა მიმდინარე სასწავლო წლის განვლილ პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების, სწავლის ხარისხის ამაღლებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარება, სწავლის ხარისხის ამაღლება, დისციპლინის განმტკიცება, სწავლებაში პოლიტექნიზმის ფართოდ დანერგვა, მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლება, მათი მეთოდური დახელოვნება, სკოლისა და მოსწავლეთა ოჯახების კავშირის განმტკიცება, სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება — აი, ძირითადად ის საკითხები, რაზედაც ამ სკოლების პარტიული ორგანიზაციები ამახვილებენ ყურადღებას. ისინი როდი კმაყოფილდებიან პარტიულ კრებაზე საკითხების განხილვითა და დადგენილებების მიღებით, მსჯელობის საგნად გახდილი ყოველი საკითხი მათ პრინციპულ სიმაღლეზე აჰყავთ, პერიოდულად ახდენენ მიღებულ დადგენილებების შესრულების შემოწმებას.

ამასთან ერთად არიან პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ღრმად ვერ წვდებიან სასკოლო ცხოვრებას, ვერ ატარებენ აუცილებელ ღონისძიებებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს უნდა ითქვას ოჟიოს საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციის შესახებ. ამ სკოლაში ნაკლებად იგრძნობა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დამრაზმავი როლი. კომუნისტები ურიგდებიან ნაკლოვანებებს, საჭირო ღონისძიებებს არ ატარებენ პარტიული კრებების მიერ მიღებული ღონისძიებების ცხოვრებაში გასატარებლად. ამიტომაც კრებაზე საკითხის განხილვა ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ღებულობს. 28 იანვარს პარტიულმა კრებამ განიხილა საკითხი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების შესახებ სკოლის სამოქმედო უბანში. ოქმში აღნიშნულია, რომ სკოლიდან გავიდა 38 მოსწავლე და მიღებულია დადგენილება: „ყველა მასწავლებელი ერთსულოვნად უნდა დაირაზმოს, რომ გასული მოსწავლეები დავაბრუნოთ სკოლაში". ფაქტიურად კი ამ დადგენილების მიღების შემდეგ განვლილ პერიოდში კიდევ 7 მოსწავლე ჩამოცილდა სკოლას.

16 დეკემბერს პარტიულ კრებას განუხილავს საკითხი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი და კამათში გამოსული კომუნისტები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ამ საგნის სწავლება კარგად არის დაყენებული, არაფერი კი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ IV კლასში მშობლიური ენის სწავლება ჩავარდნილია.

ნაკლოვანებებს ადგილი აქვს დუმასტურის რვაწლიანი სკოლის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაშიც. მართალია, ამ სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა ცუდად არ არის დაყენებული, მაგრამ შედეგი კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ პარტიული ორგანიზაცია მეტ აქტივობას იჩენდეს.

პარტიისა და მთავრობის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა სასკოლო პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება სკოლებისადმი, დარაზმონ მასწავლებლები მომავალი თაობის მტკიცე ცოდნით შეიარაღებისა და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის დიადი საქმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

## დამონტაჟებულია კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მეოთხე ჰიდროაგრეგატი

კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლებმა, რომელნიც მონაწილეობენ შეჯიბრებაში იმისათვის, რომ 1956 წლის პირველ ნახევარში დაამთავრონ მთელი სამშენებლო — სამონტაჟო მოსაპირკეთებელი სამუშაოები და აამუშაონ ჰიდროელექტროსადგური, ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. 24 მარტს დაამთავრდა მეოთხე ჰიდროაგრეგატის მონტაჟი, რომლის გულმოდგინე შემოწმების შემდეგ დაიწყო მისი გამოცდა უქმი სვლით.

მემონტაჟეთა ბრიგადებმა, რომელნიც საპირველმაისო ვახტზე დადგნენ, ვალდებულება იკისრეს მეხუთე ჰიდროაგრეგატი გაუშვან საექსპლოატაციოდ მაისში, ხოლო მეექვსე, უკანასკნელი — ივნისში.

(საქტაგი).

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და ჩატარების საკითხი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ საგაზაფხულო თესვისათვის მზადება და სათესლე კულტურების თესვა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

მტს-ებში ჩამორჩება მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი. 1 მარტისათვის შესრულებულია: კულტივატორების რემონტის გეგმა — 83,8 პროცენტით, სათესი მანქანებისა — 89,8 პროცენტით, საოშებისა — 91,6 პროცენტით.

განსაკუთრებით ჩამორჩებიან მისაბმელი იარაღ-მანქანების შეკეთებაში ხაშურის, რუისის, კასპის, ავრალოს, ქედის, ადიგენის, სართიჭალის, ზუგდიდის, კოლხიდისა და წულუკიძის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

მტს-ები სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყენებენ მათთვის გამოყოფილ საწვავის ფონდებს. 1956 წლის პირველ კვარტალში მტს-ებმა აითვისეს გამოყოფილი ბენზინის მხოლოდ 41,3 პროცენტი, სადიზელე საწვავის 59,3 პროცენტი და ნავთობის 61 პროცენტი. დღემდე არ შესდგომიან საწვავის ათვისებას გორის, ბარალეთის, განძნის, ახალციხის, წალკის, გომარეთის, ქვალონისა და ჩხოროწყუს მტს-ები.

ჩამორჩენაა სათესლე მასალის მომზადებაში.

მიმდინარე წლის 1 მარტისათვის შემოწმებული 47.585 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბლის თესლიდან კონდიციურია 34.948 ცენტნერი, ანუ 72,8 პროცენტი; 90.724 ცენტნერი ქერიდან — 61.330 ცენტნერი, ანუ 67,3 პროცენტი; 4.105 ცენტნერი მზესუმზირიდან — 2.970 ცენტნერი, ანუ 74 პროცენტი.

ბევრია გაუწმენდავი თესლი ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და სხვა კოლმეურნეობებში.

მიუხედავად ხელშემწყობი ამინდისა, მზესუმზირა და საადრეო კულტურები დაითესა მეტად უმნიშვნელო ფართობზე. ამავე დროს 1955 წლის 1 მარტისათვის მარცვლეულის დათესილი ფართობი შეადგენდა 10.875 ჰექტარს, მზესუმზირასი — 4.500 ჰექტარს და საკვები კულტურებისა — 1.661 ჰექტარს. მთელმა რიგმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა არ გამოიყენეს ზამთრის პერიოდი მექანიზატორთა და კოლმეურნეთა მოსამზადებლად კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც დაავალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიონული საბჭოების აღმასკომებსა და მტს-ების დირექტორებს განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი საგაზაფხულო თესვის მაღალი ხარისხით შესრულებისათვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში.

უახლოეს დღეებში უნდა დაამთავრონ ყველა ტრაქტორისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი, მოამზადონ კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის სპეციალური მანქანები და გადააკეთონ ამისათვის არსებული სათესი მანქანები.

უმოკლეს ვადაში დააკომპლექტონ სატრაქტორო ბრიგადები ტრაქტორისტებით, მიმბმელ-აღმრიცხველებით და გამოჰყონ მათთვის ბრიგადირები. საჭიროა აგრეთვე მოამზადონ კვადრატულ-ბუდობრივ თესვაზე სამუშაოდ მექანიზატორები და კოლმეურნეები სათანადო რაოდენობით და მიუჩინონ ისინი სათეს აგრეგატებს თესვის დამთავრებამდე. ამისათვის გამოყოფილი კოლმეურნეები არ უნდა გამოიყენონ სხვა სამუშაოზე.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა შეუფერხებელ შესრულების უზრუნველსაყოფად უახლოეს დღეებში უნდა დამთავრდეს მტს-ებისათვის გამოყოფილი საწვავისა და საცხები მასალის მთელი რაოდენობით ათვისება.

ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ თვითეული კოლმეურნეობის უზრუნველსაყოფად ყველა საგაზაფხულო კულტურის თესლით. ამასთანავე უახლოეს დღეებში დაამთავრონ თესლის გაწმენდა და უზრუნველყონ მისი სრული კონდიციურობა. სახელმწიფო ფონდებიდან უნდა მიიღონ გადაცვლისა და შესყიდვის წესით გამოყოფილი საგაზაფხულო კულტურების თესლი და გამოიყენონ დანიშნულებისამებრ.

კოლმეურნეობებმა დაუყოვნებლივ უნდა მოიყვანონ სრულ წესრიგზე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და სატრანსპორტო საშუალებანი და გადაიყვანონ მუშა-პირუტყვი გაძლიერებულ კვებაზე. სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ სოფლმომარაგების საწყობებიდან მინერალური სასუქების დროულად წაღებას და მინდვრად ნაკელის გატანას.

სიმინდი და სხვა სათოხნი კულტურები კვადრატულ-ბუდობრივი წესით უნდა დათესონ რაც შეიძლება მეტ და პირველ რიგში მზრალად ან ადრე გაზაფხულზე მოხნულ ფართობზე, რისთვისაც მაქსიმალურად გამოიყენონ მტს-ების სათესი მანქანები და უზრუნველყონ კვადრატულ-ბუდობრივი თესვის მაღალი ხარისხი.

საგაზაფხულო თავთავიანი კულტურები უნდა დათესონ ჯვარედინად და ვიწრომწკრივებად, ყველა კულტურის თესვა დაამთავრონ შემჭიდროებულ ვადებში, არ დაუშვან უკონდიციო და შეუწამლავი თესლით თესვა.

სრულ წესრიგზე უნდა მოიყვანონ სარწყავი ქსელი.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ სისტემატურად შეამოწმონ საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობა და განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი მტს-ებსა და კოლმეურნეობებში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

(საქტაგი).

## პარტიული ცხოვრება

### სწავლობენ პარტიის XX ყრილობის მასალებს

ზემო ალვნის სტალინისა და მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები პოლიტიკური ცოდნის დონის ერთ წრეში იმაღლებენ. ამჟამად ისინი წარმატებით სწავლობენ კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებს.

პროპაგანდისტი გ. მანქიშვილი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, წინასწარ საფუძვლიანად ემზადება წრის მეცადინეობისათვის, ადგენს გადასაცემი მასალის გეგმას, რის შედეგადაც ყოველ მეცადინეობას საინტერესოს ხდის.

წრის მსმენელები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესწავლისადმი. გავლილი მასალის კარგ ცოდნას იჩენენ კომუნისტები კ. შავხელიშვილი, ა. ბორძიკიძე, ი. ქაძე, ლ. ცაძიკიძე, კ. მარხვაიძე და სხვები.

კოლმეურნე კომუნისტები ცდილობენ ყოველივე ახლის შეთვისების საფუძველზე ხელი შეუწყონ საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობას, კოლმეურნეობის მეურნეობრივ და ორგანიზაციულ განმტკიცებას.

**ი. ალაზნელი.**

### პარტიულ ბიბლიოთეკაში

ამას წინათ პარტიულ ბიბლიოთეკის დარბაზში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. კოსტანაშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „ხალხი ისტორიის შემოქმედია“.

ლექციას 200-ზე მეტი კაცი დაესწრო.

**ფ. ნადირაშვილი.**

### კომკავშირელები საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში

ავტომანქანაზე მუშაობის სურვილით გატაცებულმა ახალგაზრდა მძღოლმა შოთა ქინქლაძემ ახმეტის ტყემრეწვმეურნეობის დირექტორს ამხ. დ. არველაძეს სამუშაოზე მისაღებად მიაკითხა. დირექტორმა თვალი შეავლო ახალგაზრდას, განცხადება გამოართვა და უთხრა:

—ჩვენთან სამუშაო მეტად რთულია. მომენტმა შეიძლება სადღეღამისო მუშაობა მოითხოვოს, მაშინ რას იზამთ?

—კომკავშირელებს არაფრისა არ ეშინიათ!—უპასუხა ამაყად შ. ქინქლაძემ.

ეს იყო რვა წლის წინათ. შ. ქინქლაძე კარგად გაეცნო საწარმოო გეგმას და დირექციას სიტყვა მისცა მაღალი საწარმოო მაჩვენებლები თავდადებული შრომით მოეპოვებინა. რვა წლის მანძილზე იგი არც ერთხელ არ ჩამორჩენილა. ხოლო გასული წლის გეგმა 136 პროცენტით შეასრულა, 1.700 კუბური მეტრის ნაცვლად, 2.280 კუბური მეტრი მორი გამოზიდა.

თავის კოლეგას არ ჩამორჩნენ შრომაში ა. სარქისოვი და რ. ჯანიბეგაშვილი. ისინი არ აკლებენ თავიანთ მანქანებს ტექნიკურ მოვლას. ამიტომაა, რომ მათ მანქანები მუდამ სამუშაო მდგომარეობაში აქვთ და საწარმოო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

მაგალითის მაჩვენებელია კომკავშირელ უჩა ჯაფარიძის მუშაობა. ნდობამოპოვებულ კომკავშირელს ტყემრეწვმეურნეობის დირექციამ 1955 წლის ოქტომბრიდან ილტოს უბნის — ხევგრძელის სოსტატოს უფროსობა მიანდო.

უ. ჯაფარიძემ მუშაობის დაწყების დღიდან სოსტატოში მტკიცე დისციპლინა დაამყარა და საუკეთესოდ მოაწყო შრომის ორგანიზაცია.

უ. ჯაფარიძემ სოსტატოს 1956 წლის იანვარ-თებერვლის გეგმა 145 პროცენტით შეასრულა.

თავდადებული შრომით ტყემრეწვმეურნეობის კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა კომკავშირელმა ს. გაგნიძემ. შრომაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს: ნ. სახვაძემ, ა. ძებნიაურმა, ხ. სამხარაულმა, ა. იოსებაშვილმა, დ. არჯევანიძემ და სხვებმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა ტყემრეწვმეურნეობის ახალგაზრდობაში დიდი საწარმოო აღმავლობა და აღფრთოვანება გამოიწვია. ისინი მამაცურად განაგრძობენ ბრძოლას მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

**ძ. ნარუსლიშვილი.**
**თ. თედიაშვილი.**



კემეროვოს ოლქი. სტალინსკში ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე—მოლოტოვის პროსპექტზე—მშენებლებმა აღმართეს ოთხი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ამ წელს მეტალურგები მიიღებენ კიდევ 300 კეთილმოწყობილ ბინას. მეორე სამშენებლო უბნის კოლექტივმა მიაღწია საუკეთესო შრომითს წარმატებებს. ციმბირის სუსხიანი ზამთრის პირობებში მან თებერვლის გეგმა 118 პროცენტით შეასრულა.

სურათზე: ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობა.

ფოტო ვ. სკორობოგატოვის. საქდესის ფოტოქრონიკა.

### საცდელ-საჩვენებელ მიწის ნაკვეთზე

სოფელ არაშენდის რვაწლიანი სკოლის საცდელ-საჩვენებელ მიწის ნაკვეთზე მოსწავლეები ხალისიან შრომას ეწევიან. მათ დროულად შემოაკავეს მიწის ნაკვეთი, დაამუშავეს და შეიტანეს ორგანული სასუქი. გარშემო მოაწყეს ქარსაცავი ზოლი, სადაც გააშენეს ალვისა და თუთის ნარგავები.

ნაკვეთზე კარგად მუშაობენ V-VI კლასის მოსწავლეები: გ. ხუგაშვილი, ფ. მაისურაძე, ნ. ურთმელიძე, რ. ალბორიშვილი და სხვები.

მოსწავლეებს განზრახული აქვთ საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთზე გააშენონ ვენახი და ბოსტნეული კულტურები.

**ე. მაისურაძე.**

### სამშობიარო სახლი

ახმეტის რაიონის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. ამ დღეებში ჯანმრთელობის განყოფილებას ექსპლოატაციაში გადაეცა 10 საწოლიანი სამშობიარო სახლი, რომელიც მანამდე მოთავსებული იყო დაქირავებულ, შეუფერებელ ბინაში.

**შ. შავლოხოვი.**

ჩვენი სიგნალის შემდეგ

### „ვინ არიან ეს ახალგაზრდები?“

ჩვენი გაზეთის 2 მარტის ნომერში დაბეჭდილ ამ სახელწოდების კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ ქისტაურის კოლმეურნეობის ზოგიერთი ახალგაზრდა არ ეწევა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და დროს უქმად ატარებს.

ეს საკითხი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდა. ამ პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ო. აივაზაშვილი გვატყობინებს, რომ პარტორგანიზაციამ დასახა ღონისძიებანი ახალგაზრდობის საკოლმეურნეო შრომაში ჩასაბმელად.

### შახვეტილაში პირუტყვს ცუდად აზამთრებენ

...ის იყო სოფელ შახვეტილის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის გომურს მივუახლოვდით, რომ გაღებული კარებიდან ხმა შემოგვესმა:

—მომეხმარე, კაცო, ვერ ხედავ, ძროხა წაქცეულა, წამოვაყენოთ!..

ეზოში მდგარმა კოლმეურნეებმა მწველავი თ. უძილაურის ხმა იცნეს და სწრაფად გაიქცნენ მისაშველებლად.

ასეთი სცენა იშვიათი როდია შახვეტილის მეძროხეობის ფერმაში, რადგან სამი ძროხა ისე დაჯანდაგებული ჰყავთ, რომ მიუხმარებლად წამოდგომა არ შეუძლიათ.

კოლმეურნეობის გამგეობამ დროზე ვერ შექმნა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზა და ზამთარს ყოველმხრივ მოუმზადებელი შეხვდა. მართალია, მათ სიმინდის საკმაო რაოდენობა გამოყვეს პირუტყვის საკვებად, მაგრამ დროზე ვერ უზრუნველყვეს სოფელ ველებიდან მისი გადმოტანა.

ახლა, როდესაც მიმდინარეობს ძროხების დახბოიანება, პირუტყვი უფრო ხარისხოვან საკვებს მოითხოვს, ვიდრე ოდესმე, შახვეტილელები კი ხორბლის ნამჯით კვებავენ, რაც იწვევს დაჯანდაგებასა და წველადობის დაცემას.

თ. და რ. უძილაურები უვლიან 21 საფურავ ძროხას. ისინი მოვლა-პატრონობას არ აკლებენ პირუტყვს, მაგრამ ხარისხოვანი საკვების უქონლობის გამო ძალიან დაბალია წველადობის დონე. ზოგი ძროხა დღეში მხოლოდ 300-400 გრამ რძეს იძლევა და მომვლელები იძულებული ხდებიან მისი ხბო სხვა ძროხების მონაწველით კვებონ.

პირუტყვის უკეთ გამოზამთრებას ისიც უშლის ხელს, რომ კოლმეურნეობას დღემდე არა აქვს საკმაო ტევადობის გომური. ძროხები ქერძო ბინებში ჰყავს გაფანტული, რაც აძნელებს მოვლასა და ფურაჟის ხარჯვაზე კონტროლის განხორციელებას.

უნდა ითქვას, რომ აქ სულ არ ექცევა ყურადღება მასობრივ მუშაობას. არ არის წითელი კუთხე, მწყემსები მოკლებული არიან ჟურნალ-გაზეთების კითხვის შესაძლებლობას.

შახვეტილის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ პირუტყვის გამოზამთრების საქმეს.

**შ. იოგაშვილი.**

### შეიხ მუჰამედ ალ-აშმარს გადაეცა საერთაშორისო სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“

17 მარტს სირიაში, დამასკოს ერთ-ერთ დიდ კინოთეატრ „ფარდუსში“ გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომლის დროსაც საერთაშორისო სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ გადაეცა სირიის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, სირიის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს შეიხ მუჰამედ ალ - აშმარს.

საზეიმო ცერემონია მოკლე სიტყვით გახსნა სირიის მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ მუნირ სულეიმანმა.

საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ მწერალმა ნიკოლოზ ტიხონოვმა.

ნ. ს. ტიხონოვმა მხურვალედ მიულოცა შეიხ მუჰამედ ალ-აშმარს მაღალი ჯილდო და დამსწრეთა ტაშის გრიალში გადასცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი.

ლაურეატს მიესალმნენ პროფესორი ნაზიმ მუსლი (სირია), დოქტორი ნაბიხ რუშეიდატი (იორდანია), ჟორჟ ხანა (ლიბანი). დამსწრენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ შუა აზიისა და ყაზახეთის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილის ზ. ბაბახანოვის სიტყვას, რომელმაც სალამი გადასცა საბჭოთა კავშირის 30 მილიონი მუსლიმანის სახელით.

არაბულ ენაზე მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის საერთაშორისო პრემიების კომიტეტის დელეგაციის წევრმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ვ. წერეთელმა. დიდი ყურადღებით მოისმინეს შეიხ მუჰამედ ალ - აშმარის სიტყვა, რომელიც მისი თხოვნით წაიკითხეს. (საქდესი).




სკკპ XX ყრილობის დირექტივები ხუთწლედში ნაციონალური შემოსავლის (შედარებითი ფასებით) ზრდას განსაზღვრავს 60 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისას—30 პროცენტით და კოლმეურნეთა ფულად და ნატურალურ შემოსავალს ხაზუალოდ—არანაკლებ 40 პროცენტისა.




სკკპ XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლედის გეგმით სამრეწველო პროდუქციის განვითარებას (ჯგუფი „ა“) განსაზღვრავს 70 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოებას (ჯგუფი „ბ“)—60 პროცენტით.